

საქართველოს კანონი

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №38(45), 1999 წელი, მუხ. 182) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატება:

1. 40¹ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც დასრულებულია სამართალწარმოება, აღენიშნება ფსიქიკური აშლილობის ნიშნები და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევას, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კომისიის დასკვნის საფუძველზე ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით მიმართავს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს (შემდგომში – ექსპერტიზის ეროვნული ბიურო).“.

2. 40¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან დადებითი დასკვნის შემთხვევაში, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე მიმართავს ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციას „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების შესახებ. მსჯავრდებულის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გამოტანამდე მის ბადრაგირებას უზრუნველყოფს დეპარტამენტი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.